ახალნი საგალობელნი წმიდისა მოწამისა ანტო თბილელისა.

Ისტორია გვაცნობებს ჩვენ, რომ დაარსებულიყო თუ არა რომელიმე მხარეში ნაციონალური ეკლესია, მას გაუჩნდებოდენ ან ამ მხრის მკვიდრთაგან, ან მასში ჯადოხიზნებული ეცხო ტომთაგან, ნაციონალური წმიდანებიც. ამ მოვლენას ადგილი ქონდა საქართველოს ეკლესიაშიდაც. რომელსაც ჯერ ვერა-კი გამოერკვია თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ვერ მიეღო ნამდვილი ეროვნული ელფერი, რომ უკვე აღმოაუბრწყინდა მთელი გუნდი ნაციონალურ წმინდანებისა. მაგრამ საკვირველია, რომ ჩვენი ეკლესიის უძველეს დროის ლიტურგიულ ნაშთებში, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ჩვენ ვიცით, ბევრ ამ წმიდანების ხსენებასაც ვერ ვხდებით. მართლაც, პალესტინაში პალირესზე ნაწერ სადღესასწაულოში, რომელიც პროფესორ ცაგარელს მოუძია ჩვენი მწერლობის უძველეს ნაშთად, მოხსენებულია მხოლოდ წმიდა ანო; წმიდა მოციქელ იაკობის ეპის-წერილში, რომელიც დაწერილია კალოლეკობის ხიმონ პირველის დროს (867—878 წ.), მოხსენებულია: „წ ა ანოა და... წ-ნი დედანი მენელსაცხებელნი მირიფორნი წ-ა ნინო“ (ხეკულ. მუზ. № 86, გვ. 60). მიქელ მოდრეკილის საგალობელში, რომელიც დაწერილია შეითე საუკუნის დასასრულს, იხსენიება წმიდა ანო და კონსტანტინე ქართველი (22 ნოემბერს, † 853 წ.). ერთი სიტყვით, ჩვენი ეკლესიის უძველეს დროის ლიტურგიულ მწერლობაში, თუ წმიდა ნინოს არ მივიღებთ მხედველობაში, არ იხსენიება არც ერთი იმ წმიდათაგანი, რომელნიც წმიდა ანომდის აღმოცენდენ ჩვენში. რა არის ამის მიზეზი? ეველა რომ არ ჩამოთვალოთ, წმიდა რიგენი, წმ. ნეოფიტე და წმ. ესტატე მცხეთელი ხომ ანოზე წინ და ანოსავით ეწამენ,—მაშ რატომ ამ უკანასკნელთან ამათ სახელებსაც არ ეკითხულობთ? მიზეზი ამისა, ჩვენის შეხედულებით, იმაშია, რომ სწორედ ანოს დროიდან ხსენებაც არ იყო ჩვენი ეროვნულ ლიტურგიულ მწერლობისა; იმ დროს ქართველ ლიტურგისტებს თავისებურობის გამოხატვის არც უნარი ქონდათ და არც მომზადება,—ისინი მხოლოდ ამ ანზრით იყვნენ გამსჭვალულნი, რომ რაც შეიძლება, ბეჯითად გადმოეთარგმნათ ბერძნულიდან მაშინდელი ხალვეის.

მსახურო წიგნები, ამ უკანასკნელში კი, რასაკვირველია, ქართველი წმიდანები არ იქნებოდენ. მეორე, მერვე საუკუნეში ქრისტიანულ აღმოსავლეთის სხვა-და-სხვა ერებთან დაბალლოვებით გაცნობამ ჩვენს ეკლესიაში გაალვიძა ძლიერი ნაციონალური თვით-შეგნება; ამ საუკუნეში ის უფრო მედგრად იბრძვის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის და ამ მხრით ანტიოქიის პატრიარქი თეოფილაქტეს დროს (745—751 წ.) მართლაც ისეთი გაბედული ნაბიჯი გადადგა წინ, რომ შემდეგში მას უკან ვერ დაიხევია ვერც მეთერთმეტე საუკუნეში (პატრიარქ პეტრე 3 დროს, 1053—1057 წ.) ალეპელმა ინტრიგანობამ და ვერც სხვა დროის პეკრგვარმა გაბედულებამ. მართალია, ის მერვე საუკუნემდისაც იბრძოდა ავტოკეფალიის მოპოვებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა გამოწვეული იყო უფრო პრაკტიკულ მოსაზრებით, მერვე საუკუნეში იწყება ბრძოლა ტეორეტიული, იდეური. ავტოკეფალურ, დამოუკიდებელ ეკლესიას თავისი ნაციონალური წმიდანებიც უნდა ყავდეს, ეს, მაშინდელი შეხედულებით, ერთი გამამართლებელი საბუთია მისი ავტოკეფალობისა. ასეთი ტენდენცია გაჩოჩქა, სხვათა შორის, წმ. ბოს თანამედროვე. მეგობრის და ბიოგრაფის შემდეგ სიტყვებშია: „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაა ესე ღუკოსისა მიერი მოიბოვეს, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ მკვდრთა... — ესე რა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაა და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თკთ აქა მკვდრთა და რომელთამე უკუცხოთა ხხვთ მოსრეულთა ჩუენ შორის ეამად-ეამად მოწამედ გამოჩინებითა იესოს მიერ ეფლისა ჩუენისა...“*) ეს, როდესაც ასეთი ტენდენცია თან და თან ერცელდებოდა და მასთან, �tად თუ ბევრად, ლიტერატურული თვით-მოქმედებაც ფეხს იკიდებდა, იწყება თბილისში წმიდა ბოს, და გასაკვირველი არ არის, თუ იმისი სახელი იმ წამსვე იქნა აღბეჭდილი მაშინდელ ლიტურგიულ თუ ჰაგიოლოგიურ ფოლიანტებზე. რაც შეეხება ბოზე უძველეს წმიდანებს, მეათე საუკუნიდგან იმათაც გამოუჩნდათ თაყვანთა შემსმელნი: კათოლიკოზნი ბასილი, ნიკოლოზი და გინაკეთრებით არსენი (X საუკ.) მტკიცე საფუძველს ედებენ ამ წმიდა ეროვნულ საქმეს, რომელსაც შემდეგ აგრძელებენ იოანნე მტბევარი, იოანე მაუთელი, არსენი ბულმოსიძე და სხვა სამღვდელო პიტიკანი, თუმცა დასრულებით ეს საქმე დასრულდა მეთერამეტე საუკუნეში ანტონ კათალიკოზის ხელით.

ასე თუ ისე, ჩვენი ეროვნული ლიტურგიული მწერლობა იწყება წმიდა ბოდგან: პირველი ეროვნული ლიტურგიული ნაწარმოებია უნდა ჩითვალოს „ქება წმიდისა მოწამისა ბოსა“, რომელიც შეადგენს მეოთხე თავს იოანნე საბანაძის მიერ აღწერილ ბოს ბიოგრაფიისას. ბოს სადიდებელად შეუთხზავთ მეტად მოხდენილი და მუსიკალური საგალობელი მეათე საუკუნეში ცნობილ იოანნე მტბევარს და იოანნე ქონქოზის ძეს,— ეს საგალობლები, საქირო შეთხზვევაში სამღვდელოან ორმ ფიტარელის ეკლესიათანან დაპირდაპირებულნი, დღეს უკვე თითქმის დაბეჭდილია.**) დღეს ჩვენ ხელში გვაქვს წმ. ბოს ბაღლი საგალობლები, რომლებიც ჩვენ აღმოვაჩინეთ პალესტინაში ბაბირუსზე დაწერილ ქართულ მანუსკრიპტში; ვინემ ამ საგალობლებს შეეხებოდეთ, საქირო ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვით ამ ხელნაწერზე, რომელიც დღეს პეტერბურგის საეკლესიო წიგნთსაცავში ინახება (Собраніе рукописей. Порфирія № 11). ეს მანუსკრიპტი აღწერილი აქვს პროფ. ცაგარელს (Отчетъ имп. II). ამისთვის ჩვენ მეორედ ალარ ვამოუდგებით იმის აღწერას. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ პატიკეტულ პროფესორის შემცდარ აზრებს ამ ხელნაწერის შესახებ. პირველად ყოველისა, ის სახელწოდება, რომელსაც ცაგარელი სდებს ამ ხელნაწერს, ვერ არის სრული და მართალი; მისი აზრით, ეს ხელნაწერი არის სადღესასწაულო თვენი (Праздничная Минея), ნამდვილად კი მასში თვენს გარდა შეთავსებულია მარხვანი და ზადიკი. ამ ნაირად, ამ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს ერთად ერთი ნიმუში იმ წიგნისა, რომელიც სრულებით აკმაყოფილებდა ლიტურგიულ მოთხოვნილებას მერვე საუკუნემდე, ვინაიდგან იმაში მოთავსებულია ყველა ის დიდი წიგნები, რომლებიც აუცილებლად საქირო ეკლესიაში სამსახურებლად. — თვენი, მარხვანი და ზადიკი; მართალია, ამ ხელ-

*) წმიდა მოწამე ბოს თბილელი ბოდ. 1899 წ. გვ. 14.

**) ilid. ფ. „სუნჯა ფუთა საუკუნისა“ ᲐᲐ. ბახუშაიდის, გვ. 44-50.

ნაწერში არ არის ერთი უსაპირველესი ეგლინდელ ეკლესიისათვის წიგნი—პარაკლიტონი, მაგრამ ეს ისევ ეიხსნება, რომ მერვე საუკუნემდე, როდესაც ცხოვრობდა პარაკლიტონის ავტორი—იოანნე დამასკელი, ღვთის მსახურება უპარაკლიტონოდ სრულდებოდა. მეორედ ჩვენ ვერ ვეთანხმებით ბ. ცაგარელს, როდესაც ის ამბობს, რომ ეს ხელნაწერი უნდა იყოს „вѣроятнѣе всего VII вѣка, если не раньше"; იმას რომ ჭეშმარიტად გადაეთვალიერებია ეს ხელნაწერი, მაშინ არც ამის იტყოდა და არც იმას, რომ „въ ней вовсе нѣтъ грузинскихъ святыхъ", ვინაიდგან იმაში არამც თუ იხსენიება ქართველი წმიდანი—ამბო, მთელი საგალობლებიცაა მოყვანილი ამ წმიდანის სახელობაზე. ჩვენის შეხედულებით, თუ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელ გარემოებას, ეს ხელნაწერი უნდა იყოს დაწერილი არა უადრეს მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრისა, თუმცა დედანი მისი უფრო ძველი უნდა იყოს; ეს ნათლად სჩანს როგორც მისი შინაარსიდგან (სიმარტივე თვენისა და სიმოკლე მარხვენისა; ეს უკანასკნელი იწყება ხორციელის კვირიაკედგან, როგორც ეს იყო მერვე და მეცხრე საუკუნეებამდის), ისე ერთი მინაწერისაგან (119 ფურ. არშიაზე), რომელიც ცაგარელს სისრულით ვერ ამოუკითხავს: „ღმერთმან დადგეროს ყოველთა: შემინდეთ, ესე დასდებელნი არა ამის ადგილისანი, გარნა დაკლნი ურვილნი მჭონდა". ჩვენ ვფიქრობთ, ის ამბის დროზე უძველესი „ურვილი" დედანი, რომელიც გადაწერეს ხელთა ქონდა მან შეადგინა წმიდა ამბის საგალობლებით.

რაც შეეხება ამ უკანასკნელ, დღემდე უცნობ, საგალობლებს, ესენი, როგორც სჩანს მათი ლიტერატურულ სიმარტივე და ულაზათობისაგან, გაცილებით ძველია მიქელ მოდრეკილის კრებულში (წ.-ყ. ს.ბ. ხელნ. № 125) მოთავსებულ წმ. ამბის საგალობლებზე, თუმცა შეთხუზვით ისინი შეთხზულნი უნდა იყვნენ მის შემდეგ, რაც წმ. ამბის ბიოგრაფია დაიწერა იოანნე საბანიძის მიერ (ე. ი. 820 წლის შემდეგ), ვინაიდგან მათ შედგენის დროს ავტორს ბევრითად და გულ-უხვად უსარგებლნია მოხსენებულ ბიოგრაფიით, ამის ჩვენ ნათლად დაგვანახვებს შემდეგი შედარება: